ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7538436

ნომერი: AR11097213

თარიღი : 24.06.2025

გაცემის თარიღი : 02.07.2025

გაცნობის თარიღი : 07.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N38;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ურუშაძე პ/ნ 01008050556
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 12 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481577 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 24 ივნისს №AR11097213 განცხადებით მომართა კონსტანტინე ურუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 16 მაისის

№7481577 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481577 ბრძანებით, №01.19.34.003.237 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „ბ“ ბლოკის არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481577 ბრძანებით შეთანხმებული ფასადების, ჭრილებისა და სიმაღლის განსაზღვრის ჭრილების ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილით, ვინაიდან, როგორც განმცხადებელი განმარტავს, აღნიშნული დოკუმენტაცია შეუსაბამოა აბსოლუტური ნიშნულის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფასადები, ჭრილები და სიმაღლის განსაზღვრის ჭრილი (1-1) შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ აღნიშნულ დოკუმენტაცია, აბსოლუტური ნიშნულის მითითების ნაწილში, შეუსაბამოა შეთანხმებულ გეგმასთან. შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმებული დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა და შეთანხმებული ფასადების, ჭრილებისა და სიმაღლის განსაზღვრის ჭრილის (1-1) ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481577 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481577 ბრძანებაში და შეთანხმებული ფასადები, ჭრილები და სიმაღლის განსაზღვრის ჭრილი (1-1) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული ფასადებით, ჭრილებითა და სიმაღლის განსაზღვრის ჭრილით (1-1).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481577 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481577 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.